„საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის" მონტორინგის ანგარიში

2017

თბილისი

სარჩევი

შესავალი 3

მეთოდოლოგია 4

მიმართულება I: გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა 5

მიმართულება II: განათლება და ცნობიერების დონის ამაღლება 9

მიმართულება III: გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ეკონომიკის სფეროში 12

მიმართულება IV: გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში 15

მიმართულება V: ადგილობრივი თმითმმართველობის დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა 17

მიმართულება VI: ქალი და პოლიტიკა 19

მიმართულება VII: გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა გარემოს დაცვის სფეროში 21

მიმართულება VIII: გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა სამართალდაცვისა და სასჯელაღსრულების სფეროში 22

დასკვნა 24

რეკომენდაციები 25

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველი კონსტიტუციური ინსტიტუტია, რომელიც ზედამხედველობს საქართველოს ტერიტორიისა და მისი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“ მონიტორინგის შედეგებს. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების, შესაბამისი უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობების, მიღწეული შედეგების, მათი ეფექტიანობისა და გავლენის შეფასება. გარდა ამისა, მონიტორინგი მიზნად ისახავდა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დაგგემვისა და განხორციელებისას არსებული ხარვეზების გამოვლენას და რეკომენდაციების შემუშავებას.

ეროვნულმა სამოქმედო გეგმამ[1] გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების კუთხით რვა მიმართულება დაფარა, კერძოდ:

- სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა;
- განათლება და ცნობიერების ამაღლება;
- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ეკონომიკის სფეროში;
- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
- ქალთა თანაბარი პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობა;
- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა გარემოს დაცვის სფეროში;
- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა სამართალდაცვისა და სასჯელაღსრულების სფეროში.

მონტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ კვლავ პრობლემას წარმოადგენს საკანონმდებლო დონეზე არსებული რეგულაციების პრაქტიკაში ეფექტიანი განხორციელება, რაც ერთის მხრივ საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპულ განწყობებს უკავშირდება, ხოლო მეორეს მხრივ, სხვადასხვა უწყებების მხრიდან მოითხოვს კოორდინირებულ და კომპლექსურ მუშაობას. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშესაწყობად განხორციელებული ინიციატივები არ არის საკმარისი, რაც უარყოფითად აისახება ქვეყანაში ქალთა უფლებრივ

[1] ეროვნული სამოქმედო გეგმა დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის მიერ, 2014 წლის 24 იანვარს.

მდგომარეობაზე. გარდა ამისა, დიდ გამოწვევას წარმოადგენს ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საჭირო საკანონმდებლო ჩარჩოსა და გარანტიების არსებობა.

აღსანიშნავია, რომ გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებდა ლგბტ+ პირთა გაძლიერებას, მათი უფლებების დაცვას ან მათ ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც გეგმის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლია და ფაქტიურად გეგმით დასახულ მიზანს, გენდერული თანასწორობის მიღწევის შესახებ, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

მეთოდოლოგია

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი 2017 წელს განახორციელა. მონიტორინგის პროცესში შემოწმდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მდგომარეობა, მიღწეული შედეგები, მათი ეფექტიანობა და გავლენა. მონიტორინგის დროს გამოვლენილ შედეგებზე დაყრდნობით მომზადდა რეკომენდაციები.

საწყის ეტაპზე შემუშავდა გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის შესაბამისად, გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულების კუთხით პასუხისმგებელი უწყებებიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია განხორციელებულ საქმიანობებთან დაკავშირებით. შემდგომ ეტაპზე მოხდა ინფორმაციის დამუშავება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების, აგრეთვე, მიღწეული შედეგების ანალიზის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მეთოდოლოგიურ სირთულეს წარმოადგენდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ინდიკატორების გაზომვა, რადგან ხშირ შემთხვევაში, უწყებების მიერ მოწოდებული საქმიანობების შესრულების ანგარიში ეყრდნობოდა მხოლოდ ფორმალურად განხორციელებულ აქტივობებს, ხოლო როგორი იყო აქტივობის შედეგი, გენდერული თანასწორობის კუთხით, ამ ინფორმაციით უწყებები ნაკლებად ინტერესდებოდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული საქმიანობები და ამოცანები არ იყო შესაბამისობაში გენდერული თანასწორობის კუთხით დასახულ მიზანთან, კონკრეტული მიმართულებით, რასთან დაკავშირებითაც ინფორმაცია კონკრეტული მიმართულებით საქმიანობის მონიტორინგის ნაწილში იქნა გაანალიზებული.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, შემდეგი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას, მოხდეს აღნიშნული გეგმის მიღწევებისა და ნაკლოვანებების გათვალისწინება.

მიმართულება I: გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა

ინსტიტუციური გაძლიერება

გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინსტიტუციური მექანიზმების შექმნასა და გაძლიერებას. მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა კანონმდებლობის გენდერული ანალიზის ჩატარებას და შესაბამისი ცვლილებების მომზადებას. ამასთან, არსებული მექანიზმების და გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს გაძლიერებას და მომზადებული ცვლილებების გათვალისწინებას საკანონმდებლო ბაზაში.

2017 წელს, საქართველოს მთავრობის #286 დადგენილებით დამტკიცდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში უწყებათაშორისი კომისია) დებულება და აღმასრულებელ ხელისუფლებაში შეიქმნა უწყებათაშორისი ინსტიტუციური მექანიზმი, გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით.

უწყებათაშორისი კომისია აგრეთვე განახორციელებს ე.წ სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული მაკოორდინირებელი ორგანოს ფუნქციასაც. საქართველოს მთავრობის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში დაგეგმილია თემატური სამუშაო ჯგუფების შექმნა, რომელთაგან გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, იმუშავებს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის გადახედვისა და სამინისტროებსა და სხვა უწყებებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობის მიმართულებითაც.

მისასალმებელია, რომ შემუშავებულია პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა და საბჭო სამუშაო ჯგუფების დონეზე აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა საკითხის წინ წამოწევის და განხილვის დონეზე.

საკანონმდებლო რეგულირება

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის კუთხით, შედარებით დაიხვეწა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, კვლავ რჩება რიგი საკითხები, რომელთა კანონმდებლობაში ასახვაც გააუმჯობესებდა გენდერული თანასწორობის კუთხით არსებულ ვითარებას. აღნიშნული მიმართულება ითვალისწინებდა საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებულ საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში. გარდა ამისა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის

ფორმირების პროცესში უნდა მომხდარიყო გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება.

საკანონმდებლო ინიციატივებისა და წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, კვლავ რჩება რიგი გამოწვევებისა, რაც მთავრობის მხრიდან კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს.

სახელმწიფოს საბიუჯეტო პროექტის ფორმირების პროცესში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინების უზრუნველყოფისთვის (1.5), საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ევალებოდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის გენდერული ანალიზის ჩატარება და რეკომენდაციების მომზადება. აღნიშნული საქმიანობა ამ დრომდე არ განხორციელებულა.[2]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობა, გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებულ საერთაშორისო სტანდარტებთან სრულად ჰარმონიზებული არ არის და მნიშვნელოვანია, ამ კუთხით გაძლიერდეს მუშაობა.

ქალთა თანაბარი მონაწილეობა

აღნიშნული მიმართულების ერთ-ერთი ამოცანა (1.2) იყო სასამართლო სისტემაში დასაქმების პროცესში, გენდერული პარამეტრების გათვალისწინება და გენდერული სტატისტიკის წარმოება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, როგორც პასუხისმგებელ უწყებას გეგმით ევალებოდა ქალ და მამაკაც მოსამართლეთა რაოდენობის შესახებ სტატისტიკის წარმოება, ტესტირების განხორციელებისას, საგამოცდო პროცესში და კონკურსების მიმდინარეობისას გენდერული თანასწორობისა და ანტიდისკრიმინაციული პრინციპების გათვალისწინება და სასამართლოში, მოსარჩელეთა გენდერული სტატისტიკის წარმოება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[3], მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევისას კანდიდატის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის კრიტერიუმით შეფასებისას ითვალისწინებს მის უნარს, ერთგვაროვნად მოეპყრას ადამიანებს, იყოს ფავორიტიზმისა თუ წინასწარ შექმნილი უარყოფითი განწყობებისგან თავისუფალი. ამასთან, 2014 წელს, პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, შეიქმნა სპეციალური კურიკულუმი [4] თემაზე „მართლმსაჯულების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის გზით“ და საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 7 ტრენინგი და გადამზადდა 90 მონაწილე.

---

[2]გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელება საქართველოში, 2017 წელი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:
http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/69631/Gender_Equality_NAP_report-2016_GEO_19052017

[3] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი N 893/1353–03–ო; 13.07.2017

[4] ტრენინგ მოდული მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: გენდერული მიკერძოებულობა, უთანასწორო ქცევა, კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, ქალტა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, კონვენცია ქალისა და კაცის თანაბარი შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების შესახებ, სამოსამართლო ეთიკა და გენდერული მიკერძოებულობა.

2014-2016 წლებში ქალი მოსამართლეები თანაბრად იყვნენ წარმოდგენილი საერთო სასამართლოებში.[5] ასევე, ქალები აჭარბებენ კაცებს სასამართლოს აპარატში დასაქმებულთა პოზიციებზე[6]. თუმცა, საგრძნობლად იცვლება მდგომარეობა როდესაც საქმე ეხება ქალთა წარმომადგენლობას გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე. 2014-2015 წლებში 26 რაიონული სასამართლოდან მხოლოდ 1 ქალი იყო სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო 2016 წელს - 2. ამასთან, დაბალია ქალთა წარმომადგენლობა სასამართლოებში მენეჯერულ პოზიციებზე.[7]

უზენაეს სასამართლოში ამ დრომდე არ ხდება ტესტირების განხორციელებისას და საგამოცდო პროგრამებში, აგრეთვე, კონკურსების მიმდინარეობისას გენდერული თანასწორობისა და ანტიდისკრიმინაციული პრინციპების გათვალისწინება. გარდა ამისა, უზენაესი სასამართლო არ ახდენს სასამართლოში მოსარჩელეთა გენდერული სტატისტიკის წარმოებას, და აღნიშნული ნიშნით ინფორმაციის დამუშავებას. უზენაესი სასამართლო ასევე არ აღრიცხავს საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრების შესახებ ინფორმაციას გენდერული კუთხით.

სამოქმედო გეგმის ეფექტური განხორციელებისთვის, ასევე მნიშვნელოვანი იყო საჯარო სამსახურის რეფორმის დროს გენდერული პარამეტრებისა და კადრების შერჩევისას ანტიდისკრიმინაციული პრინციპების გათვალისწინება (1.6). საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში მხოლოდ 2017 წლიდან მოხერხდა გენდერული თანასწორობისა და ანტიდისკიმინაციული პრინციპების უზრუნველყოფა და შესაბამისად ასახვა. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლიდან საკონკურსო კომისიის საქმიანობის პროცესში შესაძლებელი გახდა საჯარო დაწესებულების გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირის ჩართვა [8] ხოლო 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადო წესები“ (შემდგომ ეთიკის კოდექსი) უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულებაში გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვას. ასევე, ანტიდისკრიმინაციული გარემოს უზუნველყოფისთვის, ეთიკის კოდექსში გათვალისწინებულია ისეთი პრინციპები, როგორიცაა დისკრიმინაციული კომენტარების გაკეთებისგან თავის შეკავება განურჩევლად პირის გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციისა.

მნიშვნელოვანია, რომ ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების აკრძალვის საკითხსაც. ამასთან, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ყველა საჯარო დაწესებულებას დაეგზავნა ელექტრონული კურსი "სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა სამუშაო ადგილზე" და ეთხოვათ მონაწილეობის მიღება[9]. მნიშვნელოვანია ელექტრონული კურსის "სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა სამუშაო ადგილზე"

[5] 2014 წელს მოსამართლე ქალთა რაოდენობა იყო 50.4%, 2015 წელს - 52.6%, ხოლო 2016 წელს - 50.1%.

[6] 2014 წელს აპარატში დასაქმებულთა 58.4% ქალია; 2015 წელს - 60.5%, ხოლო 2016 წელს - 61.7%.

[7] საერთო სასამართლოების სისტემაში დასაქმებული 25 მენეჯერიდან, 2014 წელს ქალი მენეჯერი დანიშნული იყო 8 სასამართლოში, 2015 წელს - 9 სასამართლოში, ხოლო 2016 წელს 10 სასამართლოში.

[8] საჯარო სამსახურის ბიუროს წერილი N g4207;30.06.2017

[9] 2017 წლის მონაცემებით, სექსუალური შევიწროების ონლაინ კურსზე დარეგისტრირდა 835 ადამიანი, საიდანაც სერტიფიკატი აიღო 236-მა.

სერტიფიკატი გახდეს სავალდებულო ხასიათის და საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებს ეთხოვოთ მისი გავლა.

გენდერული სტატისტიკა

გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სტატისტიკის წარმოებას, რომელიც ერთგვარი ინდიკატორია მთელ რიგ სფეროებში არსებული გამოწვევების შეფასებისა და პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებისთვის. გენდერული ნიშნით არსებული სტატისტიკა ეხმარება სახელმწიფოებს მიზანმიმართულად დაგეგმონ გენდერული პოლიტიკა და განახორციელონ ქმედითი ნაბიჯები დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორი პირობების შექმნისთვის.

სწორედ ამიტომ, სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ამოცანა (1.7) გულისხმობს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე გენდერული სტატისტიკის მონაცემთა ბაზების განახლებას. აღნიშნულ მიმართულების პასუხისმგებელ უწყებად სამოქმედო გეგმაში განისაზღვრა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სტატისტიკის ეროვნული სამსახური[10] საანგარიშო პერიოდში აწარმოებდა გენდერული ნიშნით სტატისტიკის შეგროვებას, კერძოდ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, შინამეურნეობის, დასაქმებისა და უმუშევრობის, შემოსავლებისა და ხარჯების, ბიზნეს სექტორის, სოფლის მეურნეობის, სამართალდარღვევების სფეროების მიხედვით. აღნიშნული მონაცემები განთავსებულია საქსტატის მონაცემთა ბაზაში და ხელმისაწვდომია მომხმარებლებისთვის.[11]

მიუხედავად ამისა, გენდერული სტატისტიკის წარმოება, განსაკუთრებით, სასამართლო და სამართალდამცავი უწყებების მხრიდან, გამოწვევას წარმოადგენს. უწყებების მიერ მონაცემების შეგროვება და ანალიზი ხშირად დროში ჭიანურდება, რაც აჩენს განცდას, რომ სტატისტიკის წარმოება მათი საქმიანობის ნაწილს არ წარმოადგენს. ამასთან, ხშირად, სხვადსხვა უწყების მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია, ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებულია, რაც დამატებით ბარიერს აჩენს მათი დამუშავებისა და ანალიზის კუთხით. აღნიშნული კი გულისხმობს, რომ უნდა მოხდეს სტატისტიკის წარმოების ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავება და უკვე არსებულის გადახედვა.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მონაცემები გროვდებოდეს და მუშავდებოდეს რეგულარულად და არა მხოლოდ ერთჯერადად ან დროებით საფუძველზე, რათა გაიზომოს ცვლილებები დროთა განმავლობაში. აუცილებელია, რომ არებობდეს გენდერული სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგია, რომელიც მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ერთიან სტანდარტს შემოიღებს.

---

[10] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წერილი N 8–1854; 27.06.2017

[11] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ონ-ლაინ: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=1171&lang=geo

მიმართულება II: განათლება და ცნობიერების დონის ამაღლება

განათლება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. გარდა საგანმანათლებლო პროგრამებში გენდერული თანასწორობის ასპექტების ინტეგრირებისა, გეგმის მიხედვით, ამ მიმართულებით შედეგის მისაღებად მნიშვნელოვანია საკუთარ სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებზე ახალგაზრდების, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისა და საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით. აგრეთვე, ტექნიკური მიმართულებებით (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია და მათემატიკა) გენდერული ბალანსის გაუმჯობესების ხელშეწყობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის მიღწევა

ამ მიზნის მისაღწევად, სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს განათლების სფეროში მოქმედ ძირითად კანონებში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებას (2.1) განათლების სამინისტროსგან, რომელიც წამყვანი უწყებაა ამ მიმართულებით საქმიანობის განსახორციელებლად, გვეცნობა, რომ განათლების სფეროში არსებულ კანონებში გენდერული თანასწორობის ჭრილში რეგულაციები ნეიტრალურია და გათვალისწინებულია ყველა სახის დისკრიმინაციის აკრძალვის ნორმა. ამჟამად მიმდინარეობს მუშობა განათლების კოდექსზე, რომელიც გააერთიანებს განათლებისა და მეცნიერების სფეროში მოქმედ ყველა საკანონმდებლო აქტს[12].

ამავე მიმართულებით, განათლების სამინისტროს უნდა განეხორციელებინა ზოგადი განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის დანერგვის ხელშეწყობა (2.2.) განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად [13] , 2015-2016 წლებში, განხორციელდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემის გენდერული ანალიზი [14] და გამოიცა შესაბამისი რეკომენდაციები, თუმცა მათი პრაქტიკაში ასახვა არ მომხდარა. სამინისტროს ცნობით, რეკომენდაციების ასახვა მოხდება 2017-2020 წლების ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016-2017 წლებში საქართველოს საჯარო სკოლებში დასაქმებულია 65 445 პედაგოგი[15], მათ შორის 9 107 კაცი მასწავლებელია, რაც პედაგოგთა რაოდენობის 12%-ია.

მიუხედავად იმისა, რომ უწყება მიიჩნევს, რომ განათლების კურიკულუმის შემუშავების პროცესში, გათვალისწინებულია გენდერული თანასწორობის პრინციპები, სახალხო

---

[12] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი #MES 0 17 00753521; 28.06.2017

[13] იგივე;

[14] გაეროს განვითარების პროგრამისა და ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ

[15] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2098&lang=geo

დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმაში გენდერული სტერეოტიპების არსებობა ჯერ კიდევ გამოწვევას წარმოადგენს, ხოლო მასში გენდერული საკითხების ინტეგრირება კვლავ პრობლემაა.

საქართველოს განათლების სისტემის მთავარ ნაკლს სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე კურიკულუმში ინფორმაციის არარსებობა წარმოადგენს, მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ადრეული ქორწინების პრაქტიკის პრევენციისა და თავისუფალი, ემანსიპირებული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სამოქმედო გეგმის ფარგლებში ევალებოდა სპორტულ და მასობრივ ფიზიკურ აქტივობებში ქალთა მონაწილეობის პოპულარიზაცია და მათი წახალისების მექანიზმის შემუშავება, რაც საბოლოო ჯამში, დადებითად აისახებოდა სპორტულ და მასობრივ ფიზიკურ აქტივობებში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელზე (2.7) პასუხისმგებელი უწყებისაგან სპორტულ და მასობრივ ფიზიკურ აქტივობებში მონაწილე ქალთა რაოდენობა კვლავ დაბალია. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩართულ სპორტსმენთა მთლიანი რაოდენობის 20%-ს წარმოადგენენ ქალები, რაც 2014 წლის მონაცემებს 5%-ით აღემატება. სპორტულ ორგანიზაციებში 2016 წლის მონაცემებით, დასაქმებულთა დაახლოებით 3000 ადამიანიდან, 15%-ია ქალი. მმართველობით პოზიციებზე კი 5%, რაც კრიტიკულად დაბალი მაჩვენებელია და ამ სფეროში გენდერული წახალისების მექანიზმის აუცილებლობას ნათლად აჩვენებს.

უწყებამ, სამოქმედო გეგმის ფარგლებში ჩატარებულ რამდენიმე ტრენინგზე (3) მოახდინა აპელირება, რაც ერთმნიშვნელოვნად არასაკმარისია. უნდა აღინიშნოს, რომ, სამინისტროს მიერ, 2014-2016 წლებში არცერთი პროექტი არ დაფინანსებულა გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

ცნობიერების ამაღლება

სამოქმედო გეგმის მეორე მიმართულება გულისხმობს კონკრეტული საქმიანობების შესრულებას გენდერული თანასწორობის პრინციპებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით (2.6). ამ მიზნის მისაღწევად, საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს დაევალა ტელეგადაცემებში გენდერულ თემებზე დისკუსიის გამართვა.

საზოგადოებრივი მაუწყებლისგან მოგვეწოდა გადაცემების ჩამონათვალი [16], რომელიც ეხებოდა ქალთა საკითხებს. გადაცემების უმეტესობა ეხება ზოგადად ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებს, დაახლოებით იგივე რაოდენობა ეხება ოჯახში ძალადობას, შემდეგ რაოდენობრივად მოდის ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით გაშუქებული საკითხები, შემდეგ ქალთა შრომითი უფლებების მდგომარეობის გაშუქება,

[16] საზოგადოებრივი მაუწყებლის წერილი #2696/01; 29.06.2017; ჯამში, 2014-16 წლების განმავლობაში გენდერული თანასწორობის თემატიკას 41 გადაცემა დაეთმო.

ადრეულ ასაკში ქორწინება და ყველაზე ცოტა დრო ეთმობა გენდერის ნიშნით სქესის სელექციის საკითხებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საზოგადოებრივ მაუწყებელზე ასევე ხდებოდა ისეთი სატელევიზიო პროდუქტის გადაცემა, რაც ხელს უწყობდა გენდერული სტერეოტიპების გამყარებასა და უარყოფითად უსვამდა ხაზს ქალის გენდერულ როლს საზოგადოებაში[17].

საქართველოს კულტურის სამინისტროს, სამოქმედო გეგმით დაკისრებული ჰქონდა გენდერული პრობლემატიკისადმი მიძღვნილი პროექტების წახალისება. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად [18], 2014-2015 წლებში კულტურის სამინისტროს მიერ ქალთა თემატიკასა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე განხორციელდა 35, 2016 წელს კი - 102 პროექტი. სამწუხაროდ, პროექტების ხარისხობრივი კომპონენტის შეფასების საშუალებას მოკლებულნი ვართ, გეგმის ინდიკატორი კი მხოლოდ განხორციელებული პროექტების რაოდენობაზეა ფოკუსირებული.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროს, სამოქმედო გეგმის ფარგლებში საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობასთან უნდა გაემართა შეხვედრები და დისკუსიები. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობა უწყებას არ ავალდებულებს შეხვედრების გენდერულ თემატიკაზე წარმართვას, რის შედეგადაც, გაუგებარია როგორ ემსახურება მისი შესრულება გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[19], 2014 წელს გაიმართა 2 შეხვედრა პერევში და გორში. 2015 წელს გაიმართა 3 შეხვედრა გორში, წეროვანსა და ხურვალეთში. განხილული იყო ადგილზე არსებული პრობლემები, ასევე საუბარი შეეხო გენდერულ საკითხებს. უწყების ინფორმაციით, შეხვედრებში მონაწილეობდა 100-მდე ადამიანი და მათი უმრავლესობა ქალი იყო.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ტრენინგ ცენტრმა პრიორიტეტულ მიმართულებად გამოყო გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესში 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისთვის. ქალთა პოლიტიკური, სამოქალაქო უფლებების რეალიზების ხელშეწყობისა და საარჩევნო პროცესებში მათი ჩართულობის, მოტივაციის ზრდის მიზნით, დააფინანსა 5 არასამთავრობო ორგანიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ უწყებამ გეგმით განსაზღვრული ვალდებულება შეასრულა, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის კუთხით განხორციელებული საქმიანობის შედეგი არ იქნა ასახული არც 2016 წლის საპარლამენტო და არც 2017 წლის თვითმმართველობის

[17] სახალხო დამცველის განცხადება გადაცემა 'კაცების დროსთან' დაკავშირებით; ხელმისაწვდომია ონ-ლაინ: http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcveli-miich#evs-rom-gadacema-kacebis-dros-promo-ge#deruli-stereotipebis-gamyarebas-uwyobs-xels.page; იმავე საკითხებზე საუბრობს მედიის განვითარების ფონდის წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში 'სიძულვილის ენა და გენდერული წარმომადგენლობა მედიაში'; ხელმისაწვდომია ონ-ლაინ: http://www.mdfgeorgia.ge/uploads/library/53/file/hate_speech+Ge#der_GEO.pdf

[18] საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წერილი # 13/13–2700; 23.06.2017

[19] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი # 1584; 04.07.2017

არჩევნებზე, რასაც მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განხორციელებული აქტივობები ვერ გამოასწორებს. ქალ კანდიდატთა რაოდენობა ისევ მკვეთრად ჩამოუვარდებოდა მამაკაც კანდიდატებს, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკურ პროცესებში ქალთა თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა საჭიროებს უფრო კომპლექსური მექანიზმის დანერგვას, როგორიცაა გენდერული კვოტა, რომელიც დროებითი ჩარევის მექანიზმია გენდერულად თანასწორი პოლიტიკური პროცესის ჩამოყალიბებისათვის.

სამწუხაროა, რომ უწყებების მიერ განხორციელებული საქმიანობები გენდერული თანასწორობის მისაღწევად განათლების და ცნობიერების ამაღლების გზით ზოგადი ხასიათის და მცირეა. კვლავ მთავარ პრობლემას წარმოადგენს თანმიმდევრული და კოორდინირებული პოლიტიკის განხორციელება უწყებების მხრიდან, გენდერულ სტერეოტიპებთან და უთანასწორობასთან ბრძოლის კუთხით. შესაბამისად, სასურველია მომავალ სამოქმედო გეგმაში უწყებების კოორდინირებული და მიზანთან მეტად შესაბამისი აქტივობების გაწერა, რადგან ხშირად, ამ მიმართულებით გაწერილი საქმიანობა არ ასრულებს სამოქმედო გეგმით დასახულ მიზანს, და შესაბამისად, უწყების მიერ გეგმით დასახული საქმიანობის შესრულების შემთხვევაშიც კი შეუძლებელია გენდერული თანასწორობის კუთხით დასახული მიზნის მიღწევა ან ამ კუთხით მდგომარეობის გაუმჯობესება.

მიმართულება III: გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ეკონომიკის სფეროში

ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობა და თანაბარი ეკონომიკური მონაწილეობა პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში არსებულ გენდერულ თანასწორობასა და ეკონომიკურ კეთილდღეობასთან. ამასთან, სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მიერ შესწავლილ ინდივიდუალურ საქმეთა უმრავლესობა მეტყველებს, რომ შეუძლებელია ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის განხილვა ქალთა ეკონომიკური თანასწორობისგან დამოუკიდებლად.

გენდერული თანასწორობის პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მე-3 მიმართულების მიზანია ეკონომიკის სფეროში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობა, ეკონომიკურ პოლიტიკასა და შრომით საკითხებში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება, ასევე ქალთა ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება, ქალთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება და აგრობიზნესში ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, სამოქმედო გეგმის მიხედვით 2014-2016 წლებში წამყვანი როლი უნდა შეესრულებინა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[20], საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განახორციელა პროგრამა "აწარმოე საქართველოში" რომელიც მოიცავს ტექნიკურ დახმარებას

[20] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილი # 08/3822; 28.06.2017

ტრენინგების, სტაჟირებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების მეშვეობით. მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებით 2015-2016 წლებში განმცხადებელთა რაოდენობამ 43 885 შეადგინა, მათ შორის 37.5% ქალია. ტრენინგი ჩაუტარდა 8 880 ადამიანს, აქედან 36% ქალს. დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა სულ 4911 ადამიანია, მათ შორის 40% ქალია.

რაც შეეხება რეგიონების მიხედვით განმცხადებელთა და დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობას, მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:



მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტი ქალ მეწარმეთა ხელშეწყობაა, პრაქტიკაში კვლავ გვხვდება პრობლემები, რომელიც გენდერული უთანასწორობიდან გამომდინარეობს და ქალების მიერ არასაკმარისი მატერიალური კაპიტალის ფლობასა და განკარგვის უფლებასთან არის დაკავშირებული.

გარდა სამეწარმეო პროგრამებისა, სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ "ინოვაციებისა და ტექოლოგიური სააგენტოს" მიზანია ქალთა ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერების ხელშეწყობა. პროექტში "ქალთა გაძლიერება" 200-მდე ქალს ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა ტექნოპარკის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების კუთხით არსებულ შესაძლებლობებს. 2016 წელს განხორციელებული პროექტების ბენეფიციართა 35% ქალები წარმოადგენდნენ.[21]

[21] მიკრო გრანტების პროგრამის ფარგლებში 84 დაფინანსებული ბენეფიციარიდან 17 ქალი იყო; სტარტაპ საქართველოს ფარგლებში 20 დაფინანსებული სტარტაპიდან 4 ბენეფიციარი ქალია; სამრეწველო ლაბორატორიაში შესული 420 განცხადებიდან 140 ქალს ეკუთვნის, ხოლო პროექტის "აიწყე ბიზნესი ფაბლაბთან ერთად" 205 მონაწილედან 93 ქალია. პროექტის "ბიზნეს ინკუბატორი" 48 მონაწილედან 9 ქალია.

სამინისტროსა და სააგენტოს მიერ შესრულებული საქმიანობის მიუხედავად, დაფინანსებული პროექტების ბენეფიციართა შორის ქალთა დაბალი რაოდენობა მიუთითებს იმაზე, რომ ამ კუთხით აუცილებელია საქმიანობის გაგრძელება, ხელშესახები შედეგის მისაღწევად. ამასთან, გრძელვადიანი შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია ეკონომიკის სამინისტროს მიერ ისეთი პროექტების დაფინანსება, რომლებიც თავად უწყობენ ხელს გენდერული თანასწორობის მიღწევას ქალთა დასაქმების, განათლების ან გენდერისა და თანასწორობის საკითხებზე ქალთა ინფორმირებულობის გაზრდის კუთხით.

ტურიზმის ეროვნული სააგენტოსგან მოწოდებული ინფორმაციით, ბიზნესსაქმიანობაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით რამოდენიმე ტრენინგი ჩატარდა[22] ხოლო ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, უწყება ადმინისტრირებას უწევს სამუშაოს მაძიებელთა ბაზას[23]. განათლების სამინისტრ,[24] ახორციელებს სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა პროცენტულ რაოდენობასთან დაკავშირებით, რომლებიც სარგებლობენ პროფესიული განათლების, გადამზადებისა და მეწარმეობის განვითარების პროგრამით, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტრო[25] აგრობიზნესში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით კონსულტაციებს გასცემს[26] [27].

უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზიდან ცალსახად იკვეთება, რომ ქალთა ეკონომიკური მონაწილეობის გაზრდისათვის განხორციელებული აქტივობების უმეტესობა არ ითვალისწინებს ქალთა სპეციფიურ საჭიროებებს. შედეგად, ის მოცემულობა, რომ სოფლად მცხოვრები ქალების უმეტესობა ამა თუ იმ ფორმით ჩაბმულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, თუმცა, ეს არ აისახება მათ მიერ მიწის ფლობის მაჩვენებელზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მრავალი კულტურული და სოციალური ფაქტორითაა განპირობებული, აუცილებელია ისეთი ღონისძიებების ხელშეწყობა, რომელიც ქალთა მიერ ეკონომიკურ აქტივობას წაახალისებს.

ენერგეტიკის სამინისტროს, ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ეკონომიკის სფეროში გენდერული თანასწორობის მისაღწევად, საანგარიშო პერიოდში ევალებოდა ენერგიის წყაროების დივერსიფიცირება პროდუქტიულობის გაზრდის, დამატებითი შემოსავლებისა და შრომატევადობის შემცირების მიზნით. თუმცა, უწყების მიერ ამ მიზნის მისაღწევად განხორციელებული საქმიანობების კავშირი ქალთა ეკონომიკურ თანასწორობასთან,

[22] საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წერილი #08/1169; 10/07/2017
[23] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი # 01/43201; 30.06.2017
[24] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი MES 0 17 00753521; 28.06.2017
[25] სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი #2428/01; 30.06.2017
[26] 2014-2016 წლებში ჯამში გაწული იქნა 155 000-მდე კონსულტაცია[26]რომელთა მიმღებთაგან 30% ქალია, ასევე, მოწოდებული ინფორმაციით, 54 მუნიციპალიტეტის 250-მდე სოფელში განხორციელდა საველე გასვლები, რაც გულისხმობდა კონსულტაცია/სწავლებას. პროგრამით მოსარგებლეთა მხოლოდ 15%-ია ქალი
[27] 2017 წელს 1526 სასოფლო სამეურნეო კოოპერტივში გაერთიანებულია 13636 მეპაიე, მათ შორის 3657 ქალი. 306 სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეა ქალი. რეგისტრირებულია 81 ქალთა კოოპერატივი.

ბუნდოვანია [28]. საქმიანობა, რომელიც მოიაზრებდა ენერგეტიკულ სექტორში სამუშაო ადგილების შექმნისა და ქალის როლის დამკვიდრების ხელშეწყობას, ენერგეტიკის სამინისტროს, სახალხო დამცველის მიერ მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, არ შეუსრულებია. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს აპარატში დასაქმებული იყო 42 ქალი და 39 კაცი; მათ შორის, მენეჯერულ პოზიციებზე 6 ქალი და 13 კაცი. მნიშვნელოვანია, სამოქმედო გეგმის ინდიკატორის დონეზე, ქალთა მონაწილეობა გაიზომოს არა მხოლოდ სამინისტროს აპარატში დასაქმებულთა რაოდენობით, არამედ მსხვილ ენერგოპროექტებში ქალთა თანაბარი მონაწილეობის, ენერგოპროექტების გენდერული გავლენების ანალიზისა და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე დასაქმებულ ქალთა რაოდენობის შეფასების შედეგად.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული პროგრამებისა და ინიციატივების კუთხით სამინისტროებისგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ნათლად სჩანს, რომ ქალებს კვლავ არ მიუწვდებათ თანაბრად ხელი იმ რესურსებზე, რომელიც მათი ეკონომიური გაძლიერებისკენ იქნება მიმართული. ასევე, პრობლემას წარმოადგენს ქალ მეწარმეთა დაფინანსების და მათი ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამების სიმცირე. სისტემური ხასიათი არა აქვს და თითქმის არ ხორციელდება ქალთა გადამზადების პროგრამები და ტრენინგები მცირე ბიზნესის თუ სამეწარმეო საქმიანობის შესწავლის მიზნით.

მიმართულება IV: გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში

საკანონმდებლო რეგულაცია

სამოქმედო გეგმის მეოთხე მიმართულების მიზანი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში გენდერული ასპექტების გათვალისწინებაა, რომლის მისაღწევადაც გეგმით გაწერილია რამდენიმე ამოცანა, რომელიც შეეხება ჯანდაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზს, სერვისების თანაბარ ხელმისაწვდომობას დისკრიმინაციის გარეშე, რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, სქესთა დისბალანსის შესწავლასა და შესაბამისი პოლიტიკის განსაზღვრას, და ჯანდაცვის პერსონალის სამედიცინო პროგრამებში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საინისტროსგან მიღებული ინფორმაციის თანახმად [29], კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებში გენდერული თანასწორობა დაცულია და ჯანდაცვისა და სამედიცინო სერვისები, ასევე ფულადი დახმარება და სოციალური სერვისები თანაბრად ხელმისაწვდომია ორივე სქესისთვის.

[28] საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წერილი # 02/2956; 21.07.2017. 2014-16 წლებში, გაზიფიცირებულია 300-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. ელექტრიფიცირებულია 30 დასახლებული პუნქტი. ინდივიდუალური მრიცხველი დაუმონტაჟდა 140 000-ზე მეტ აბონენტს. ექსპლუატაციაში შევიდა 1 ქარის და 10 ჰიდრო ელექტროსადგური. ენერგეტიკის სამინისტრო ჩართულია 2 საერთაშორისო პროექტში.

[29] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი # 01/43201; 30.06.2017

ვინაიდან უწყებას ამ დრომდე მსგავსი კვლევა, რომელიც საკმაოდ შრომატევადია თავისი არსით და განსახორციელებლად დიდ დროს მოითხოვს, არ ჩაუტარებია, უცნობია თუ რას ეყრდნობა მოწოდებული ინფორმაცია.

რაც შეეხება თანაბარ ხელმისაწვდომობას სერვისებზე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეგულაციები ხშირად ქმნის პრაქტიკულ დაბრკოლებებს გენდერულად თანასწორი საქმიანობისათვის. მაგალითად, ჯანდაცვის მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის ბრძანება #01-43/ნ, რომელიც არეგულირებს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო კომპენსაციის გაცემის წესი. კერძოდ, მინისტრის ბრძანებაში განსაზღვრული საავადმყოფო ფურცელი, რომელიც გაიცემა მხოლოდ მშობიარის მიმართ, შეუძლებელს ხდის აღნიშნულით ისარგებლოს მამრობითი სქესის მშობელმა.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეებიდან იკვეთება, რომ ჯანდაცვის სისტემა არ არის მორგებული ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ქალების საჭიროებებზე. ტრანსგენდერ ქალებს ხელი არ მიუწვდებათ ისეთ სერვისებზე, როგორიცაა ტრანზიციის პერიოდში ფსიქო-სოციალური სერვისები, ჰორმონალური თერაპია საერთაშორისო სტანდარტებით გაწერილი სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით და ა.შ.

ნათელია, რომ ჯანდაცვის სფეროში არსებული რეგულაციები და ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობა საჭიროებს სიღრმისეულ კვლევას გენდერული თანასწორობის კუთხით, რაც, საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა.

რაც შეეხება სქესთა თანაფარდობის დარღვეული ბალანსის მიზეზების შესწავლას და მიღებული შედეგების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებას, მსგავსი კვლევის ჩატარების შესახებ ინფორმაცია არ მოგვეწოდა. საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის კუთხით, გვეცნობა, რომ ბრძანების მიხედვით დაუშვებელია სქესის შერჩევის მიზნით ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა გარდა იმ შემთხვევისა, როცა აუცილებელია სქესთან შეჭიდული მემკვიდროებითი დაავადებების თავიდან აცილება.

სამინისტროს მიერ არ მოგვეწოდა ინფორმაცია იმ საქმიანობის შესახებ, რომელიც ჯანდაცის პერსონალის დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების კურიკულუმის გადახედვას მოითხოვს და გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებას ავალდებულებს უწყებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, განათლების სამინისტროსგან გვეცნობა, რომ ჯანდაცვის პერსონალის დიპლომამდელი სწავლების კურიკულუმის გადახედვაზე პასუხისმგებელ უწყებად განათლების სამინისტრო არ მოიაზრება და აღნიშნული საკითხები რეგულირდება თავად სამედიცინო პროფილის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმებში გათვალისწინებული არ არის გენდერული საკითხები.

ცნობიერების ამაღლება

რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ მედიისა და არასამთავრობო სექტორის ინფორმირების მიზნით გაეროს მოსახლეობის ფონდი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ახორციელებდა პროექტს "ჩემი უფლებები", რომლის ფარგლებშიც თბილისის და კახეთის სკოლებში ჩატარდა სწავლებები რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის პრინციპების, აივ შიდსისა და სქესობრივად გადამდები დაავადებების საკითხებზე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2015-2016 წლებში აღნიშნული საკითხები ჩართო ფორმალური განათლების პროგრამებში.

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, მედიის, არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლებისათვის შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვისა და უსრუნველყოფისთვის იყო პასუხისმგებელი. უწყებისგან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2015-2016 წლებში სამინისტრო ახორციელებდა თეორიულ და პრაქტიკულ სასწავლო კურსს „რადიო ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მართვაში“, რომლის ფარგლებშიც, აზერბაიჯანულ და სომხურ რადიოსაშუალებებში, 4 თვის განმავლობაში გადიოდა საინფორმაციო გადაცემები გენდერული თანასწორობის შესახებ. უწყების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში, რეპროდუქციული ჯამრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კუთხით განხორციელებული აქტივობები არ იკითხება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზით, შეიძლება ითქვას, რომ იმ გადაცემებიდან, რომელიც ეხებოდა გენდერულ საკითხებს, ყველაზე ცოტა დრო ეთმობოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები, მათ შორის გენდერული ნიშნით სქესის სელექციის პრობლემა საქართველოში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლების კუთხით მუშაობის გაძლიერება როგორც არსებული სერვისების, ისე სქესის სელექციისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე რადგან პრობლემა მწვავეა და შესაბამისი პოლიტიკის გატარებას საჭიროებს ექიმების გადამზადების თუ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კუთხით.

მიმართულება V: ადგილობრივი თმითმმართველობის დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა

სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2014-2016 წლებში, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის დროს უნდა მომხდარიყო თვითმმართველობის პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება. რაც თავის მხრივ გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას, მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის საკითხებში მრჩევლის თანამდებობის

შემოღებას, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე სპეციალური პროგრამების შექმნასა და ლიდერ ქალთა გამოვლენა/გაძლიერებას.

აღნიშნულ საკითხებზე პასუხისმგებელ უწყებად განისაზღვრა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება ეთხოვათ მუნიციპალურ ორგანოებსაც.

2013 წელს არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ინიციატივითა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით 49 მუნიციპალიტეტში დაინიშნა გენდერულ საკითხთა მრჩეველი და მათთვის შემუშავდა თანამდებობრივი ინსტრუქცია. სახალხო დამცველის აპარატის მიერ მუნიციპალიტეტების ორგანოებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია ცხადყოფს, რომ 14 მუნიციპალიტეტში არის გენდერის მრჩეველი, 34 მათგანში შეთავსებით, 15 მუნიციპალიტეტში არ არის მსგავსი პოზიცია, ხოლო 37 მუნიციპალიტეტისგან აღნიშნული მიმართულებით ინფორმაცია საერთოდ არ მოგვეწოდა.

მონიტორინგის შედეგად დგინდება, რომ გენდერის მრჩევლები ხშირად სხვა საქმიანობასთან შეთავსებით ასრულებენ საკუთარ ფუნქციას, რაც პრობლემას წარმოადგენს. კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ყველა თვითმმართველ ერთეულში გენდერის საკითხებზე საკონტაქტო პირის არსებობა. აღსანიშნავია, რომ ერთის მხრივ დიდ მიღწევას წარმოადგენს გენდერის მრჩევლების დანიშვნა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერების თვალსაზრისით, თუმცა კვლავ ბუნდოვანია მათ მიერ ინიცირებული პროექტები და შესაბამისი კვალიფიკაცია გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის სფეროებში.

ამ ეტაპზე, გენდერული თანასწორობის საბჭო შექმნილია 16 მუნიციპალიტეტში, 4 მათგანში დაწყებულია მუშაობა ამ საკითხზე, ხოლო 80 თვითმმართველ ერთეულში ჯერ კიდევ არ დაწყებულა გენდერული საბჭოს ფორმირება.

გარდა მრჩევლების ინსტიტუტის გაძლიერებისა, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლად მცხოვრები ქალების გაძლიერებას და მათი საჭიროებები გამოკვეთას. სამწუხაროა, რომ ამ მიმართულებით დამოუკიდებლად მუნიციპალიტეტების მიერ საქმიანობა მინიმალურია, ძირითადად აქტიურობენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა რესურსიც ვერ ფარავს მთელ რეგიონს და განხორციელებული საქმიანობები ფრაგმენტული ხასიათისაა.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფარგლებში მუნიციპალიტეტების ორგანოებისგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც შემოწმდა მათ მიერ გენდერული თანასწორობისკენ მიმართული ინიციატივების განხორციელება. მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის მიხედვით დგინდება, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში მხოლოდ ფრაგმენტულად და ძირითადად ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების

დახმარებით ხორციელდება ქალთა საჭიროებებისთვის გათვალისიწინებული პროექტები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გაძლიერდეს კოორდინაცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებს შორის, რათა სწორად იქნას აღქმული და განხორციელებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანები.

მონიტორინგის ფარგლებში მუნიციპალიტეტებიდან ჯამში მოგვეწოდა 123 წერილი. მოწოდებული წერილების ანალიზიდან დგინდება, რომ 14 მუნიციპალიტეტში მოხდა გენდერის მრჩევლების გაძლიერება, 15-ში არ შესრულდა აღნიშნული საქმიანობა, 34-მა ნაწილობრივ შეასრულა, ხოლო 37 მუნიციპალიტეტიდან საერთოდ არ მოგვეწოდა ინფორმაცია ამ მიმართულებით, რაც გვაფიქრებინებს, რომ სამოქმედო გეგმის საქმიანობა შეუსრულებელია.

სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში ქალთა გაძლიერებას და მხარდაჭერას. აღნიშნული მიმართულებით, მუნიციპალიტეტების 60%-დან ინფორმაცია არ მოგვეწოდა, ხოლო რიგ მუნიციპალიტეტებში ხელი შეეწყო პოლიტიკოს ქალთა შესაძლებლობების და უნარების განვითარებას. ამასთან, მნიშნელოვანი იყო ინფორმაცია გენდერული ბიუჯეტის განხორციელების თაობაზე, რომლის გათვალისწინებაც მოხდა 37 მუნიციპალიტეტში, 11 მათგანში არ შესრულებულა მსგავსი ტიპის რაიმე აქტივობა, ხოლო 52 მათგანიდან საერთოდ არ მოგვეწოდა ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში, პროგრამების სპეციფიკის მიხედვით, გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინების შესახებ.

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ მუნიციპალიტეტების ორგანოებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესში. სამწუხაროა, რომ მონიტორინგის ფარგლებში, გარკვეული მუიციპალიტეტებიდან მოწოდებული ოფიციალური წერილების მიხედვით, ნათელი გახდა, რომ მათთვის მწირია ინფორმაცია გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის შესახებ.

მიმართულება VI: ქალი და პოლიტიკა

საქართველოში არსებულ პოლიტიკურ კულტურას მჭიდრო კავშირი აქვს ტრადიციულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებთან, რაც, ხშირ შემთხვევაში, გამორიცხავს ქალის როლსა და მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში. ამასთან პოლიტიკაში ქალთა დაბალი მონაწილეობის ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს კანონმდებლობაში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის წახალისების ეფექტიანი მექანიზმების არარსებობაცაა.

სამოქმედო გეგმის მე-6 მიმართულების მიზანი იყო გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა. კერძოდ, პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალისა და კაცის

თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა, ასევე, არჩევით ორგანოებსა და სამინისტროებში/უწყებებში ქალთა წარმომადგენლობისა და მონაწილეობის ხელშეწყობა.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის, სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ მთავარ შემსრულებელ უწყებად ცენტრალური საარჩევნო კომისია გამოიყო, რომელსაც დაევალა პარტიებთან თანამშრომლობა და მათი ცნობიერების ამაღლება, მათ შორის კვოტირების მექანიზმთან დაკავშირებით; ასევე, საარჩევნო სიების გენდერული ნიშნით აღრიცხვა და შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწა. გარდა ცენტრალური საარჩევნო კომისიისა, ქალთა მონაწილეობის გაზრდის კუთხით საქმიანობა ევალებოდა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს მთავრობას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პარლამენტს კვოტირების მექანიზმის შემუშავებასთან დაკავშირებული ინიციატივა ორჯერ წარედგინა[30], სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა კვოტირებასთან დაკავშირებულ არცერთ ინიციატივას.

ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან მოგვეწოდა ინფორმაცია[31], რომ ცესკოს სწავლების ცენტრმა 2014 წელს განახორციელა სპეციალური სასწავლო კურსი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში კანდიდატად მონაწილე 85 ქალისთვის. ტრენინგში მონაწილე ქალი კანდიდატებიდან საკრებულოს არჩევნებში გაიმარჯვა და მანდატი მიიღო 14-მა ქალმა (მათ შორის 7 პარტიული სიით, 7 მაჟორიტარული სიით). ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ასევე უზრუნველყო საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარე მოადგილე/მდივანი ქალებისთვის გენდერისა და ლიდერობის საკითხებზე ტრენინგების ჩატარება. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე უცნობია რა ტიპის ღონისძიებები განახორციელა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პოლიტიკური პარტიის ლიდერ და წევრ კაცებთან მუშაობის მიმართულებით, რადგან ხშირ შემთხვევაში სწორედ კაცები არიან გადაწყვეტილების მიმღებები პოლიტიკურ პარტიებში და მნიშვნელოვანია გაიზარდოს მათი ცოდნა და მგრძნობელობა ქალთა როლის, მნიშვნელობისა და საჭიროებების შესახებ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ცესკოს მიერ ხორციელდება საარჩევნო სიების გენდერული ნიშნის მიხედვით აღრიცხვა. სხვა საქმიანობები - როგორიცაა პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობა გენდერული თანასწორობის საკითხებზე პოლიტიკური პარტიების პროგრამებში გენდერული ასპექტების გათვალისწინების მიზნით ან არჩევით ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდისათვის კანონმდებლობის დახვეწა და ქალებისათვის მაღალ თანამდებობებზე

[30] წინადადებას 9 არასამთავრობო ორგანიზაცია აწერდა ხელს: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ქალთა საინფორმაციო ცენტრი, გენდერული სამართლიანობა, კავშირი „საფარი“, ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“, გენდერული თანასწორობის ქსელი,, ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის - საქართველო.

[31] საქართველოს ცენტრალური სარჩევნო კომისიის წერილი # 03–07/895; 21.06.2017

დანიშნვნის ბარიერების ანალიზი[32] - სამოქმედო გეგმით განსაზღვრული უწყებების მიერ არ განხორციელებულა, რის შედეგადაც 2016 წელს პარლამენტში მხოლოდ 4% ზრდა დაფიქსირდა ქალთა მონაწილეობის კუთხით, ხოლო 2017 წელს თვითმმართველობის არჩევნებში ქალთა კრიტიკულად დაბალი მონაწილეობა დაფიქსირდა[33].

მიმართულება VII: გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა გარემოს დაცვის სფეროში

ეროვნულ სამოქმედო გეგმაში გარემოსდაცვითი საკითხებში გენდერული თანასწორობის ასპექტის შემოტანა თვისობრივად ახალი მოვლენაა ქართული რეალობის გათვალისწინებით და მისასალმებელია, რომ 2014-16 წლის გეგმაში ერთ-ერთ მიზნად გაიწერა გარემოს დაცვის საკითხების გადაწყვეტაში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა, რომლის მისაღწევადაც სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იყო 2 მიმართულება: გარემოს დაცვის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გენდერული ბალანსის დაცვა და მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება ამ მიმართულებით.

სამოქმედო გეგმაში აღნიშნული მიმართულების შესრულებაზე პასუხისმგებელია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, რომელსაც ევალებოდა გარემოს დაცვის საკითხების განხილვისა და შესაბამის პრევენციულ ღონისძიებებში გენდერული ბალანსის დაცვა. ამასთან, გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ "ორჰუსის კონვენციის" ფარგლებში საკითხთა განხილვის პროცესში გენდერული ბალანსის დაცვის ხელშეწყობა, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისათვის გარემოს დაცვის საკითხებზე სემინარებისა და ტრენინგების (სხვადასხვა ჯგუფისათვის სხვადასხვა სახის სემინარებისა და ტრენინგების) ჩატარება. აღნიშნული საქმიანობა, თავისთავად შეზღუდულია სამინისტროს მიერ მხოლოდ შეხვედრების, დისკუსიებისა და ტრენინგების ჩატარებასთან დაკავშრებით, და არასაკმარისია სამოქმედო გეგმით დასახული ამოცანის შესასრულებლად.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2014-16 წლებში განხორციელდა სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო შეხვედრები, საჯარო დისკუსიები, ლექცია-სემინარები და ტრენინგები, მათ შორის ნარჩენების მართვაზე, მწვანე ეკონომიკაზე, გარემოსდაცვით პოლიტიკაზე და ორჰუსის კონვენცის განხორციელებასთან დაკავშირებით. ცხრილის სახით გთავაზობთ ინფორმაციას, ჩატარებულ შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ გენდერულ ჭრილში:

[32] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი

[33] მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული თვითმმართველი ორგანოების წევრთა მხოლოდ 7.62%-ს წარმოადგენენ ქალები, ხოლო 54 თვითმმართველი ერთეულის არჩეული მერის მხოლოდ 1.85%-ია ქალი - http://cesko.ge/statistic/index.php



მიუხედავად იმისა, რომ უწყებამ გეგმით ნაკისრი ვალდებულებები სრულად შეასრულა, აუცილებელია, შემდეგი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნას, რომ შეხვედრების ფორმატი არასაკმარისია გარემოს დაცვის საკითხებში გენდერულად თანასწორი პოლიტიკის გატარებისათვის. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში სოფლად მცხოვრები ქალების უმეტესობა მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო პროცესებში და საკმაოდ მძიმე, აუნაზღაურებელ შრომას ეწევა როგორც სახლში, ისე მოსავლის მიღების მიზნით და აუცილებელია შესწავლილ იქნას გარემო პირობების, კლიმატის ცვლილებების, ტოქსიკური ნარჩენებისა და სხვა საფრთხეების გავლენა მათ ყოველდღიურ ანაზღაურებად და არა ანაზღაურებად საქმიანობაზე.

მიმართულება VIII: გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა სამართალდაცვისა და სასჯელაღსრულების სფეროში

როდესაც ვსაუბრობთ გენდერულ თანასწორობაზე, მნიშვნელოვანია ყველა სფეროში, მათ შორის სამართალდაცვისა და სასჯელაღსრულების სფეროებში გათვალისწინებული იყოს გენდერული თანასწორობის პრინციპები. სამოქმედო გეგმის ბოლო, მე-8 მიმართულება სწორედ აღნიშნულ სფეროებში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებას და მათ ინტეგრირებას ისახავს მიზნად, რომლის თანახმადაც მნიშვნელოვანია პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულმა ქალებმა თავი იგრძნონ დაცულად ყოველგვარი დისკრიმინაციისგან; ასევე, მოხდეს მათი ფსიქო-სოციალური სერვისებით უზრუნველყოფა და ისეთი პირობების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მათი შესაძლებლობების რეალიზებას.

სამოქმედო გეგმის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებული იყო, ხელი შეეწყო ქალთა წარმომადგენლობისა და მათი როლის გაზრდისათვის შიდა სტრუქტურებში, ასევე აემაღლებინა თანამშრომელთა ცოდნა გენდერული თანასწორობის

საკითხებზე. ასევე მთავარ პროკურატურას უნდა ეწარმოებინა ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევებზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია[34] სამოქმედო გეგმის საფუძველზე განხორციელებულ საქმიანობებთან დაკავშირებით არასრულია და მოიცავს მხოლოდ თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების კუთხით განხორციელებულ აქტივობებს და გენდერული აუდიტის ჩატარებას სამინისტროში. სამინისტროსგან არ მოგვეწოდა ინფორმაცია სამინისტროში დასაქმებულ ქალთა დინამიკის შესახებ წლების მიხედვით. გარდა ამისა, უცნობია სამინისტროს მიერ ქალთა მოზიდვისთვის განხორციელებული საინფორმაციო კამპანიების ჩატარების შესახებ. შესაბამისად, უცნობია სამინისტროს მიერ ქალთა მონაწილეობისა და ქალთა რაოდენობის ზრდა გადაწყვეტილების მიმღებ დონეებზე წახალისებული იყო თუ არა რაიმე აქტივობით, რაც გარდამტეხ ცვლილებას შეიტანდა უწყებაში, რომელსაც თანაბარი გენდერული მონაწილეობის კუთხით, პრობლემა აქვს.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მხრიდან "ბანგკოკის წესების" სტანდარტებთან მიახლოების მიზნით და პატიმარი ქალების საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესების მიზნით, 2016 გაუმჯობესდა დაწესებულების ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, დედათა და ბავშვთა ოთახებში განთავსდა შესაბამისი ინვენტარი და მოეწყო გასართობი კუთხე.

დაწესებულებაში აგრეთვე მოეწყო დასაქმებისთვის საჭირო რამდენიმე საწარმოო ინფრასტრუქტურურა, მათ შორის: თექის დამუშავების საამქრო, სილამაზის სალონი და სამკერვალო საწარმო. რაც შეეხება სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამებს, 2014-2016 წლებში კურსი გაიარა 1701-მა პატიმარმა. აგრეთვე, მოხდა თანამშრომელთა გადამზადება, რომლის ფარგლებშიც 2014-2016 წლებში გადამზადდა 2764 პირი.

საქართველოს სახალხო დამცველის პრენციის ეროვნული მექანიზმის და გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მიერ, 2015 წელს სასჯელაღსრულების N5 დაწესებულებაში განხორციელდა მონიტორინგი [35] , რომელიც მიზნად ისახავდა ქალი პატიმარების საჭიროებების გამოვლენას და შეფასებაზე დაყრდნობით რეკომენდაციების მომზადებას. მონიტორინგის ჯგუფი დაეყრდნო როგორც ქვეყნის შიდა კანონმდებლობას, ასევე ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესებით (ბანგკოკის წესები) დადგენილ სტანდარტებს. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ქალ პატიმართა მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს, განსაკუთრებით რეპროდუქციული და ფსიქო-სოციალური ჯანმრთელობისა და რეაბილიტაციის სფეროში. ასევე, პრობლემას წარმოადგენდა დაწესებულებაში პატიმრების მიღებისას სრული შემოწმების პროცედურა.

[34] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 7 17 01621031; 07.07.2017

[35] ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ombudsma#.ge/uploads/other/3/3285.pdf

საქართველოს მთავარ პროკურატურას ამ მიმართულებით ევალებოდა პროკურორებისთვის პროფესიული ტრენინგების ორგანიზება და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება გამოძიებისას ქალთა სპეციფიკის გათვალისწინების მხრივ. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად [36], 2015 წელს ძალადობრივი და ოჯახური დანაშაულის საქმეების შესწავლის შედეგად, პროკურატურაში პროკურორებისთვის შემუშავდა რეკომენდაცია საქართველოს სისხლის სამართლს კოდექსის 11[1] და 126[1] მუხლებზე აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ.

რაც შეეხება პროკურატურის თანამშრომელთათვის ცნობიერების ამაღლებისთვის განხორციელებულ ტრენინგებსა და სწავლებას, პროკურატურას ევალებოდა სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება, გამოძიებისას ქალთა სპეციფიკის გათვალისწინების მიზნით. ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა, უწყების მიერ ძირითადად ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებით შემოიფარგლა და რაიმე სახელმძღვანელო დოკუმენტი, აღნიშნულთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული არ ყოფილა.

დასკვნა

საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების 2014-16 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მთავარი მიზანი ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგში გენდერული თანასწორობის საკითხების სწორი და დროული ინტეგრირება უნდა ყოფილიყო. გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ გეგმით განსაზღვრული საქმიანობების შესრულება უწყებების მხრიდან ძირითადად გარე დახმარების შედეგად ხდებოდა შესაძლებელი, ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა და მისი იმპლემენტაცია საკმაოდ რთული იყო არსებული ბარიერების გამო, როგორიცაა გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შეუსაბამობა ქვეყანაში არსებულ გენდერულ პოლიტიკასთან, უწყებების შიგნით გეგმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსების არარსებობა და ა.შ.

გეგმით განსაზღვრული საქმიანობებისა და მიზნების მიღწევას რიგი მიმართულებით ისიც ართულებს, რომ ზოგიერთ სფეროში გენდერული თანასწორობის პოლიტიკა არსებითად ახალ სფეროს წარმოადგენს (მაგ. ენერგეტიკა და გარემოს დაცვა). შესაბამისად, გეგმის შემუშავებამდე და კონკრეტული საქმიანობების განსაზღვრამდე, აუცილებელია ადგილობრივ კონტექსტში გამოკვლეულ იქნას გენდერული თანასწორობის კუთხით კონკრეტულ სფეროში არსებული საჭიროებები და გამოწვევები და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობების გაწერა.

[36] საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი # 13/42921; 30.06.2017

მიუხედავად გენდერული თანასწორობის კუთხით, საკანონმდებლო სფეროში გადადგმული რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯისა კვლავ პრობლემას წარმოადგენს კანონმდებლობის იმპლემენტაციის საკითხი. შედეგად, კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმები სამიზნე ჯგუფებზე ეფექტიანად აისახება.

რაც შეეხება ლგბტ+ ადამიანების უფლებრივ მდგომარეობას, ამ კუთხით მდგომარეობა კვლავ კრიტიკულად მძიმეა. ლგბტ+ ადამიანებს არ ეძლევათ შესაძლებლობა თავად განსაზღვრონ პოლიტიკური დღის წესრიგი. ამასთან, ქვეყანაში გაძლიერებული ანტი-გენდერული განწყობებისა და მოძრაობების ფონზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ზოგადი გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ფარგლებში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და დანაშაულის პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, სიძულვილის მოტივით, ლგბტ+ თემის მიმართ ჩადენილი დანაშაულების პრევენცია და დროული და ეფექტური გამოძიება.

რეკომენდაციები

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიას:

- გაიწეროს ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით კონკრეტული მიზნები, ამოცანები და საქმიანობები, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა ეროვნულ სამოქმედო გეგმაში;

- შემუშავდეს გენდერული სტატისტიკის წარმოების ერთიანი მეთოდოლოგია;

საქართველოს პარლამენტს:

- უზრუნველყოს სექსუალური შევიწროების საკანომდებლო რეგულირება როგორც სამუშაო ადგილას ისე საჯარო სივრცეში;

- უზრუნველყოს მარტოხელა მშობლის სტატუსის მინიჭების წესის დახვეწა და სტატუსთან დაკავშირებული სოციალური ურთიერთობების მოწესრიგება;

- უზრუნველყოს მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მინიჭების წესის შემუშავება და სტატუსთან დაკავშირებული სოციალური ურთიერთობების მოწესრიგება;

- მოხდეს ქალთა ეკონომიკური მონაწილეობის წახალისება შრომით კანონმდებლობაში მინიმალური გარანტიების გაწერის გზით;

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს:

- უზრუნველყოს კანონპროექტებისა და ბიუჯეტის პროექტის გენდერული ანალიზის მეთოდოლოგიისა და თანმიმდევრული გეგმის შემუშავება;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალის გადამზადება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე, ლგბტ+ პირებისათვის სპეციფიური ჯანდაცვის საჭიროებებზე ფოკუსით;

- უზრუნველყოს სქესის თანაფარდობისა და მისი განმაპირობებელი მიზეზების კვლევის განხორციელება;

- შემუშავდეს საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები რათა შესაძლებელი იყოს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების განაწილება ორივე მშობლისათვის;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- უზრუნველყოს სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენელთა გადამზადება გენდერული მგრძნობელობის ამაღლების მიზნით, განსაკუთრებით, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებთან მუშაობისას;

- ხელი შეუწყოს ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფებში;

საქართველოს მთავარ პროკურატურას:

- უზრუნველყოს სპეციალური წესის გაწერა ძალადობის მსხვერპლ ქალთა, მათ შორის სპეციალური ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე ქალთა გამოკითხვისა და შესაბამისი პროცედურების განხორციელებისთვის;

- განხორციელდეს გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულებისა და სიძულვილით მოტივირებული სხვა შემთხვევების დროული, ეფექტიანი და ანგარიშვალდებული გამოძიება;

საჯარო სამსახურის ბიუროს:

- უზრუნველყოს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ მომზადებული სექსუალური შევიწროების შესახებ ელექტრონული კურსის მიწოდება საჯარო მოხელეთათვის;

საქართველოს მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკის სამინისტროს:

- განხორციელდეს მსხვილი ენერგო პროექტების გენდერული ანალიზი.